



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

12 აგვისტო 2024



N 434/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გვიშტიბში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გვიშტიბში მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მწვანე ნარჩენების კომპოსტირების საწარმოს მოწყობა დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გვიშტიბის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 16 004 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 29.07.35.068). საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. გვიშტიბი, დაშორებულია დაახლოებით 410 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. წყალტუბოსწყალი მიედინება 92 მეტრში. საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ მდებარეობს ქ. წყალტუბოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, ხოლო 220 მეტრის მანძილზე განთავსებულია შპს „ჰერბიას“ სასათბურე მეურნეობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მწვანე ნარჩენები, რომელთა შეგროვება და ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირება ხდება სხვა შერეულ მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მწვანე ნარჩენების (ხის ტოტები, ფოთლები, ბალახი) შეგროვება და ბუნებრივი კომპოსტის წარმოება. აღნიშნული მიზნით, საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა 2 160 მ² ფართობის მქონე, ნახევრად ღია, ფარდულის ტიპის შენობა-ნაგებობა, სადაც განთავსდება მწვანე ნარჩენების მიღებისა და დაქუცმაცების უბანი (200 მ²), კომპოსტის წარმოების უბანი (864 მ²) და გაცრის, მზა პროდუქტისა და კომპოსტის დასაწყობების უბანი (300 მ²), აგრეთვე, აღნიშნულ შენობაში განთავსდება საწარმოსათვის საჭირო ტექნოლოგიური დანადგარები - დამქუცმაცებელი, მრავალფუნქციური ავტოდამტვირთველი შემრევით და საცერი. საპროექტო შენობაში ტექნოლოგიური პროცესებისათვის განკუთვნილი უბნები ერთმანეთისგან გამოყოფილი არ იქნება ბარიერებით, ხოლო საკომპოსტე მოედნებს შორის მოეწყობა 3 მეტრი სიგანის თავისუფალი სივრცეები ტექნიკის გადაადგილებისათვის. შენობის იატაკი, სადაც განთავსდება მიღების, დაქუცმაცებისა და მზა პროდუქტის უბნები, მოწყობილი იქნება ჰორიზონტალურად, ხოლო საკომპოსტე მოედნის იატაკი მოწყობილი იქნება მცირედი დაქანებით,

ქანობის ბოლოს კი მოეწყობა საწრეტი ორმო (1.2×1×1მ). კომპოსტირების ცენტრში გათვალისწინებულია 6 გრძივი მოედნის მოწყობა, სადაც ბიომასის განთავსება მოხდება 48 მეტრი სიგრძის, 3 მეტრის სიგანისა და 1,8 მეტრი სიმაღლის ნაყარის სახით. საწარმოს ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით, შენობის სახურავზე, 200 მ² ფართობზე, მოეწყობა მზის პანელები 35 კვტ ელექტროენერჯის მისაღებად. საწარმოს მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება 6 თვის განმავლობაში.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მწვანე ნარჩენების შეგროვება და კომპოსტირების საწარმოს ტერიტორიაზე შემოტანა მოხდება წყალტუბოს ააიპ სპეციალური სერვისების მიერ. ობიექტის ტერიტორიაზე შემოტანილი მასა მიეწოდება დამქუცმაცებელს, რის შემდეგაც მიღებული წვრილი ფრაქცია განთავსდება საკომპოსტე მოედნებზე. კომპოსტირების პროცესის მიმდინარეობა გაკონტროლდება თერმომეტრების, მექანიკური და ვიზუალური შეფასებით. პროცესის დაჩქარებისა და აერაციის მიზნით პერიოდულად მოხდება საკომპოსტე მასის არევა შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით, ხოლო ნაყარების მორწყვა - რეზინის მილების საშუალებით. კომპოსტირების პროცესი - მწვანე ნარჩენების გარდაქმნა ბიოლოგიური მეთოდით, წარმოადგენს ბუნებრივ პროცესს, შესაბამისად სხვა სახის ნედლეული გამოიყენება, გარდა მწვანე ნარჩენებისა, გათვალისწინებული არ არის. კომპოსტირების სრული ციკლი მოიცავს 3-4 თვეს და განხორციელდება უწყვეტ რეჟიმში მთელი წლის განმავლობაში. მიღებული პროდუქტი დასაწყობდება მზა პროდუქციის სასაწყობე უბანზე და გამოყენებულ იქნება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ობიექტებისა და ნარგავებისათვის. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი დაფასოება სპეციალურ პაკეტებში. საწარმო იფუნქციონირებს 365 დღე წელიწადში, 24 საათიანი რეჟიმით და დასაქმდება 11 ადამიანი. კომპოსტირების ცენტრში გათვალისწინებულია წლის განმავლობაში 3 200 ტონა (16 000 მ³) მწვანე ნარჩენის გადამუშავება და 1600 ტონა კომპოსტის მიღება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური (დასანამად) მიზნებისთვის, რისთვისაც წყალმომარაგება მოხდება ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს, მწვანე ნარჩენების დანამვის შედეგად წარმოქმნილი წყალი შეგროვდება საწრეტი ორმოში და გამოყენებული იქნება ბიომასის დასანამად. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, საწარმოს მოწყობით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება საწარმოს ფუნქციონირების ეტაპს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელია ნედლეულის დაქუცმაცების, კომპოსტის არევის, გაცრისა და კომპოსტირების პროცესში მიმდინარე ორგანული პროცესების, ასევე ტექნიკის ფუნქციონირების შედეგად. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში კომპოსტირების ნედლეულს წარმოადგენს მხოლოდ მწვანე ნარჩენები - ხის ტოტები, ფოთლები, ბალახი და სხვ. შესაბამისად, მოსალოდნელი არ არის ლპობის პროცესების წარმოქმნა და უსიამოვნო სუნის გავრცელება. დოკუმენტში წარმოდგენილია საქმიანობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. მიღებული შედეგების თანახმად, აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს მოწყობის ეტაპზე ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში. აღსანიშნავია, რომ „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური

ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილების თანახმად, მითითებული ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე. რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპს, საწარმოში ხმაურის წარმოქმნის ძირითად წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული ტექნოლოგიური დანადგარები, კერძოდ დამქუცმაცებელი და ავტოდამტვირთველი. აღნიშნული დანადგარების ექსპლუატაცია გათვალისწინებულია საწარმოს ნახევრად დახურული შენობის ტერიტორიაზე, დღის საათებში, ამასთან, აღსანიშნავია საპროექტო მიწის ნაკვეთი შემოღობილია, ხოლო საწარმოს განთავსების ტერიტორიასა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს (410 მ) შორის არსებული ბუნებრივი ბარიერები, ამცირებს ხმაურის გავრცელებას. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციით, კომპოსტირების ტექნოლოგიური პროცესი უნარჩუნოა, ხოლო საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ტექნოლოგიური დანადგარების შეკეთება და რემონტი განხორციელდება საწარმოს ტერიტორიის გარეთ, შესაბამისად დაკავშირებული არ იქნება ნარჩენების წარმოქმნასთან. საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელია მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა, რომლის გატანას უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალური სამსახური.

დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმო განთავსდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ობიექტის მოწყობითა და ექსპლუატაციით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ (500 მეტრიან რადიუსში) ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტ(ებ)ი არ არის განთავსებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გაიგზავნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გვიშტიბში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/434-21-4-202408121419>

